ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5233201

ნომერი: AR1791925

თარიღი : 01.12.2020

გაცემის თარიღი : 22.12.2020

გაცნობის თარიღი : 23.12.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი IV , კორპუსი 2 , მიმდებარედ (ნაკვეთი 07/021);

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ქუთათელაძე პ/ნ 37001008060
- სამტრედია მნელაძის 172

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5147808 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 01 დეკემბერს №AR1791925 განცხადებით მომართა შოთა ქუთათელაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 19

ოქტომბრის №5147808 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5147808 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, IV მიკრო/რაიონი, კორპუსი 2, მიმდებარედ (ნაკვეთი 07/021), არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: № 01.10.07.007.141) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის B/1 და B/2 ბლოკის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2020 წლის 27 ოქტომბრის №5162516 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 27 ოქტომბრიდან 2022 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5147808 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. კერძოდ, საერთო ფართობი 18883.6 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 20600.3 კვ.მ., საცხოვრებელი ფართობი 13000.0 კვ.მ-ის ნაცვლად 13339.1 კვ.მ., კომერციული ფართობი 461.0 კვ.მ-ის ნაცვლად 459.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობი 2931.6 კვ.მ-ის ნაცვლად 1725.4 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 700.0 კვ.მ-ის ნაცვლად 3277.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობი 1791.0 კვ.მ-ის ნაცვლად 1730.1 კვ.მ. ასევე, ითხოვს დამხმარე ფართობის (68.7 კვ.მ.) დამატებას.
საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: №882020823112, მომზადების თარიღი: 02/11/2020 წ.) №01.10.07.007.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჯიდი +“ (ს/ნ: 438731990). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, შპს „ჯიდი +“-ის (ს/ნ: 438731990) ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შოთა ქუთათელაძე. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. სამსახურმა ასევე დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ გეგმებზე ხდება ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5147808 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5147808 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 20600.3 კვ.მ., საცხოვრებელ ფართობად 13339.1 კვ.მ., კომერციულ ფართობად 459.7 კვ.მ., საზაფხულო ფართობად 1725.4 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად 3277.3 კვ.მ., ავტოსადგომის ფართობად 1730.1 კვ.მ. ასევე ამავე ბრძანებით შეთანხმებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს დამხმარე ფართობი 68.7 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5147808 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველით წარმოდგენილი გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5147808 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 19 ოქტომბრის №5147808 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.